3 ლ
PP 2182
n 33/302



## საშა ევთიმოვა
*დამდგმელი ქორეოგრაფი*

## SASHA EVTIMOVA
*Staging Choreography*

დაიბადა მაკედონიაში. საბალეტო განათლება მაკედონიის მუსიკისა და ბალეტის უმაღლეს სკოლაში მიიღო, 2001 წელს კი პიტსბურგის (პენსილვანია, აშშ) პოინტ პარკის კოლეჯი დაასრულა თანამედროვე ჯაზის განხრით. ევთიმოვა სკოპიეში (მაკედონია) ოპერისა და ბალეტის ნაციონალური დასის სოლისტი და ქორეოგრაფია გორან ბოჟინოვის ხელმძღვანელობით. ევთიმოვას რეპერტუარშია არაერთი კლასიკური და ნეოკლასიკური როლი. 2007 წელს ის მონაწილეობდა პროექტში „კილიანი ბალკანეთში“ და შეასრულა წამყვანი როლი ბალეტებში “Falling Angels”, “One of a Kind” და “Palms”, 2004 წელს კი მონაწილეობა მიიღო აფრიკაში ფრანკოფონულ ოლიმპიურ თამაშებში. ქორეოგრაფის სტატუსით ევთიმოვას დადგმული აქვს ცეკვები ფილმებისთვის, მაკედონიის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური დასისთვის, ელვინ ეილის ამერიკული საცეკვაო თეატრისთვის, პოლონეთის “Give up the Ghost” კონკურსისთვის და საქართველოს სახელმწიფო ბალეტისთვის. 2011 წელს ევთიმოვამ მოიპოვა გრან პრი სერგეი დიაგილევის მე-5 საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალზე (პოლონეთი).

Sasha Evtimova was born in Macedonia and began her training at the Macedonian Music and Ballet High School. She graduated from Point Park College in Pittsburgh, United States in 2001 majoring in contemporary jazz. She is soloist and choreographer at the National Opera and Ballet in Skopje, Macedonia, under the direction of Goran Bozhinov. Evtimova has performed numerous featured roles of the classical and neoclassical repertoire. In 2007 she was part of the project Kylián to The Balkans, performing a solo in *Falling Angels, One of a Kind* and *Palms*. In 2004 she took part in the Francophone Olympic Games in Africa. As choreographer, Evtimova has created works for films, the Macedonia National Opera and Ballet, Alvin Ailey American Dance Theater, the Give up the Ghost competition in Poland and for the State Ballet of Georgia. In 2011 Ms. Evtimova won the Grand Prix at the 5th International Sergei Diagliev Choreographic Festival in Poland.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
ZAKARIA PALIASHVILI TBILISI OPERA AND BALLET THEATRE

KSB



# საიდუმლო ბაღი
ერთმოქმედებიანი ბალეტი

# THE SECRET GARDEN
One-act ballet

# საიდუმლო ბაღი
ერთმოქმედებიანი ბალეტი

კომპოზიტორები:
სებასტიან პლანო
ო'ლაფურ არნალდსი

ქორეოგრაფია:
საშა ევთიმოვა

ვიდეო ანიმაცია:
პრედრაგ მილოშევიჩი

კოსტიუმები და სცენოგრაფია:
საშა ევთიმოვა

მონაწილეობენ:
ნინო სამადაშვილი, თამთა ბახტაძე, გვანცა გავაშელიშვილი, ეკა სურმავა, ნინო მათიაშვილი, მაია ილურიძე, გიორგი ბერიძე, ნიკა ჯაიანი, მამუკა კიკალიშვილი, უილიამ პრატი, რიო კატო, ერიკ ბუროუ

# THE SECRET GARDEN
One-act ballet

Composer:
SEBASTIAN PLANO
O'LAFUR ARNALDS

Choreography:
SASHA EVTIMOVA

Video animation:
PREDRAG MILOSHEVIC

Costume and scenography:
SASHA EVTIMOVA

Cast:
Nino Samadashvili, Tamta Bakhtadze, Gvantsa Gavashelishvili, Eka Surmava, Nino Matiashvili, Maia Iluridze, Giorgi Beridze, Nika Jaiani, Mamuka Kikalishvili, William Pratt, Ryo Kato, Eric Burrough

სპექტაკლის პრემიერა – 2012 წლის 8 დეკემბერი ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო თეატრში

Premiered on December 8, 2012 at the Alexander Griboedov State Russian Drama Theatre

ჩვენ ერთმანეთს იდეალური გამოსახულების სარკეში ვხედავთ, თუმცა ცხოვრებაში ყველაფერი იდეალური არაა. შეიძლება ვიღიმოდეთ, თუმცა შინაგანად მხოლოდ ჩვენ ვიცით, როგორ ვგრძნობთ თავს. ვცხოვრობთ ტყუილი ემოციებით და ვფლანგავთ დროს უმნიშვნელო რამეებზე. ვცხოვრობთ ბნელ ადგილას, საიდანაც ვერსად მივდივართ. წინსვლისთვის საკუთარი შინაგანი ემოციისა და მწუხარებისაგან უნდა გათავისუფლდეთ და როდესაც ყველა ემოციისგან დაიცლებით და საკუთარ თავთან სულიერ სიმშვიდეს მიაგნებთ, თქვენი სული გადავა იქ, სადაც ოდესღაც ბედნიერი იყავით.. შეიძლება სხვა გზა აირჩიოთ, მაგრამ ცვლილება ზოგჯერ სწორედ ისაა, რაც შიშის გადასალახად და უბრალოდ გასათავისუფლებლად გჭირდებათ..

ყოველი გასასვლელი რომელიღაც ახალი ადგილის კარია.

ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ არსებობს ცხოვრების წესი.. რომ სწორედ ასეთია ცხოვრება და ჩვენც არასდროს შეგვიტანია ამაში ეჭვი, უბრალოდ მივყვებოდით ამ დარიგებას. მაგრამ იქნებ არის უკეთესი გზა ცხოვრებისთვის? იქნებ არის რაღაც მეტი? ოდესმე თუ მივაგნებთ, რასაც ვეძებთ? ოდესმე თუ ვიპოვით იმ იდეალურ ადგილს? და არსებობს კი საერთოდ ასეთი ადგილი?

ჩვენ სხვა სამყაროში შევხვდებით,
შევხვდებით ჰაერში...

საშა ევთიმოვა

We all see each other through a mirror of a perfect image, but not everything is perfect in life. We smile but on the inside we are the only ones who know how we feel. We live this life, faking every emotion, wasting time on things that are not important in life. We live in a dark place where we are stuck and you can't move forward... You have to go pass the emotion and the grief that you have inside to move forward, and the moment you let go of all your emotions and come in peace with yourself, your soul will cross over to the place where you once had happiness... You might go different ways, but change is sometimes what we need to overcome our fear and just let go...

Every exit is an entry somewhere else.

We've been told there is a certain way to live... that this is living and we never really questioned it, we just went along with it. But what if there is another way to live that is better then the one we live. What if there is something more... Will we ever find what we are looking for, will we ever find that perfect place... and is there such a perfect place?

We will meet in another life,
We will meet in the air...

SASHA EVTIMOVA

ეროვნული ბიბლიოთეკა